## აფხაზი მესაზღვრის მიერ მოკლული ქართველის ოჯახი ევროპულსასამართლოს მიმართავს

გამოქვეყნდა: 11 იანვარი, 2018

2016 წლის მაისში გიგა ოთხოზორია თავის ორ ახლობელთან ერთადმანქანითმოძრაობდა საქართველოს ქალაქ ზუგდიდიდან აფხაზეთის მიმართულებით, რათა სურსათი მიეტანა ნათესავის დაკრძალვის ცერემონიისთვის. კამათი გიგასა და აფხაზეთის მესაზღვრეთა შორის “ადმინისტრაციული საზღვრის ხაზზე” მალე გაცხარდა. ერთ-ერთმა მესაზღვრემ გიგას ოთხჯერ ესროლა. უკანასკნელი, ფატალური ჭრილობა მიყენებული იქნა თავის არეში. 2018 წლის იანვარში მისმა მშობლებმა, ცოლმა და ორმა შვილმა მიმართეს ადამიანთა უფლებების ევროპულ სასამართლოს. ისინი ბრალს სდებენ რუსეთს და ამტკიცებენ რომ რუსეთი არის დამნაშავე გიგას სიკვდილში. ადამიანთა უფლებების ევროპული საადვოკატო ცენტრი (EHRAC) და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (თბილისი) წარადგენენ გიგას ოჯახს ევროპული სასამართლოს წინაშე.

### *რა შეემთხვა გიგას*




*აფხაზეთის ლოკაციის მაჩვენებელი რუკა*

გიგა ცხოვრობდა სოფელზუგდიდში, აფხაზეთის ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის ახლოს (ამ არეას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ვერ აკონტროლებს რუსეთთან 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ). ეს სასაზღვრო ზოლი ყოფს აფხაზეთს საქართველოს დანარჩენი ტერიტორიიდან. აფხაზი მესაზღვრეები დაბანაკებულნი არიან ხიდთან, რომელიც მდებარეობს ორ სოფელს შორის - ხურჩა და ნაბაკევი (აფხაზეთის მხრიდან).

2016 წლის 19 მაისს, ნაშუადღევს გიგა თავის ორ ახლობელთან ერთად მანქანით მოძრაობდა ნაბაკევის მიმართულებით რათა სურსათი მიეტანა თავისი ნათესავის დაკრძალვის ცერემონიისათვის. ადმინისტრაციულ საზღვართან მიახლოებისას გიგა გადმოვიდა მანქანიდან რათა "მესაზღვრეთათვის" ეთხოვა დახმარება რომ პროდუქტი ხიდის გაღმა გადაეტანა. ჩვეულებრივი საუბარი თანდათან კონფრონტაციაში გადაიზარდა. როგორც ერთ-ერთი თვითმხილველი ამბობს, კამათი დაიწყო მას შემდეგ, როცა გიგა გამოესარჩლა ახალგაზრდა მამაკაცს, რომელსაც მესაზღვრეები აქილიკებდნენ და მასხრად იგდებდნენ. როცა კამათი გაცხარდა, გიგა გაერიდა "მესაზღვრეებს", რათა კონფლიქტის გაგრძელებისათვის თავი აერიდებინა. მაგრამ ისინი მას დაედევნენ და ემუქრებოდნენ. გიგა უკვე საქართველოს მიერ კონტროლირებადი ადმინისტრაციული ზოლის მხარეზე იყო გადმოსული, როცა დადევნებულ "მესაზღვრეთაგან" ერთ-ერთმა მას ახლო მანძილიდან ესროლა ფეხში, გულ-მკერდისა და მუცლის არეში. გიგა დაეცა. ვიდეო კადრი აჩვენებს, რომ იგივე მესაზღვრემ გიგას თავში ესროლა, როდესაც იმავდროულად მეორე მას ფეხებითა და ხელებით სცემდა. გიგა საავადმყოფოში მიყვანამდე გზაზე გარდაიცვალა.



ვიდეო კამერის კადრი სოფელ ხურჩასთან აჩვენებს მომენტს, როცა გიგა სასიკვდილოდ დაიჭრა (Agenda.ge)

## *ვინ არის პასუხისმგებელი მის მკვლელობაში*

2008 წლის შემდეგ აფხაზეთის ტერიტორია ფაქტიურად რუსეთის მიერ არის ოკუპირებული. ამის გათვალისწინებით ჩვენ ევროპული სასამართლოს წინაშე ვაყენებთ საკითხს, რომ აფხაზ მესაზღვრეთა ქმედებებზე რუსეთია პასუხისმგებელი. ამ განცხადების საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ აფხაზეთის ტერიტორია რუსეთის ფაქტობრივი კონტროლის ქვეშაა მოქცეული, ასევე ფიზიკური ძალადობა, რაც აფხაზ "მესაზღვრეთა" მიერ იქნა განხორციელებული გიგას მიმართ 2016 წლის 19 მაისს. ამის საფუძველზე ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით რუსეთია პასუხისმგებელი იმ მოვლენებზე, რამაც გიგას მკვლელობა გამოიწვია. ჩვენი აზრით აფხაზ "მესაზღვრეთა" მიერ განხორციელებული იქნა უკანონო ძალადობა, რასაც შედეგად გიგას სიკვდილი მოჰყვა. ეს არის სიცოცხლის უფლების დარღვევა (მუხლი 2, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია). გიგა იყო შეუიარაღებელი, ის გამოერიდა კონფლიქტურ სიტუაციას, მაგრამ აფხაზი "მესაზღვრეები" მას გამოედევნენ საქართველოს მიერ

კონტროლირებად ტერიტორიაზე და მოკლეს. ისინი არ ცდილობდნენ რომ ის კანონიერი გზით დაეკავებინათ. მისთვის ცეცხლსასროლი იარაღიდან ისროლეს, ისიც ახლო მანძილიდან, სრულიად არ იყო აუცილებელი და არანაირად არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც ძალის პროპორციული გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ “მესაზღვრე”, რომელმაც გიგას ესროლა და მის სიკვდილში ბრალეული, დაუსწრებლად იქნა გასამართლებული ქართული სასამართლოს მიერ გიგას მკვლელობისთვის და მიესაჯა 14 წელი პატიმრობა, მისი საქართველოსთვის გადმოცემის არაერთგზის მოთხოვნა იგნორირებული იქნა და დამნაშავე დღემდე მიმალვაშია. ამ ფაქტებზე დაყრდნობით ჩვენ ასევე ვაცხადებთ, რომ აფხაზეთის ხელისუფლების მიერ გიგას მკვლელობის ეფექტური გამოძიება არ განხორციელებულა. მისი ოჯახის სამართლიანი მოთხოვნა საქმის ობიექტური გამოძიების შესახებ იგნორირებული იქნა, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევაა.

## *რატომ არის ეს საქმე მნიშვნელოვანი*

გარდა იმისა რომ მართლმსაჯულება აღსრულდეს და გიგას ოჯახისთვის სამართლიანობა იქნას მიღწეული, ეს საქმე რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს აყენებს. ეს ეხება ადამიანის უფლებების დარღვევათა პასუხისმგებლობის საკითხს იმ შემთხვევებში, როცა ეგრეთწოდებული დე ფაქტო “აფხაზეთის რესპუბლიკის” ოფიციალური პირებია საქმეში ჩარეულნი. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ აფხაზეთმა, ისევე როგორც სამხრეთოსეთმა, დამოუკიდებლობა გამოაცხადა და დღემდე საქართველოს ხელისუფლების კონტროლს გარეთ რჩებიან. მაგრამ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელია იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებმაც ცნო მათი სეპარატისტული ნაბიჯის ლეგიტიმურობა. რუსეთი იყო ერთადერთი ქვეყანა ევროპულ საბჭოში, რომელმაც ეს გააკეთა. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ რუსეთი მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სამხედრო გავლენას ფლობს აფხაზეთზე. ეს საქმე ამტკიცებს რუსეთის გავლენას აფხაზეთზე, ასევე ამ საქმეს აქვს პოტენცია ობიექტური და ავტორიტეტული გადაწყვეტილება იქნეს მიღებული ევროპული სასამართლოს მიერ იმის დასადგენად თუ ვინ არის პასუხისმგებელი კანონიერების აღსრულებაზე აღნიშნული კონფლიქტის შემდგომ სიტუაციაში.